ერთიანი საქართველოსთვის



GEORGIA

ისინი იბრძოლენ
საქართველოსთვის

ოქუმის 170 - წლიანი სკოლის

სახელოვანი აღზრდილების შესახებ

(საარქივო მასალები, თანამედროვეთა მოგონებები)

„საზოგადოება არ არსებობს გმირების გარეშე, გმირები ასახავენ იმ იდეალებს, რომელიც ყველა ქვეყანას და ყველა ეპოქას აქვს“

ეროვნული გმირის ორდენი — საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო, რომელიც საქართველოს ეროვნული გმირის წოდებასთან ერთად ენიჭება პირს საქართველოსთვის განსაკუთრებული, გამორჩეული გმირული ქმედებისათვის. დაწესდა 2004 წლის 24 ივნისს.



საქართველოს ეროვნული გმირი
გენერალი გენო ადამია

გენო ადამია დაიბადა 1936 წლის 8 მარტს ქ.სენაკში (მაშინდელი ქ.ცხაკაია).

1943 წელს გენო ადამიამ სწავლა დაიწყო ქ.სენაკის (ქ.ცხაკაია) N1 საშუალო სკოლაში, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს.

1950-1951 წლებში გენო ადამია სწავლას აგრძელებს ოქუმის საშუალო სკოლაში, სადაც ის მისი უფროსი დის ოქუმის კოლმეურნეობაში ვეტექიმად დანიშვნის შემდეგ გადმოვიდა.

იმ პერიოდში გენო ადამიას თანაკლასელებსა და მის უახლოეს მეგობრებს: ვაჟა და გივი ჯგუბურიებს, კოტე წირღვავას მასთან კავშირი და ურთიერთობა აფხაზეთში ომის ბოლო დღეებამდე არ გაუწყვეტიათ. გენო ადამიამ საშუალო განათლების ატესტატი მის მშობლიურ სენაკის პირველი საშუალო სკოლაში 1954 წელს მიიღო.

თავდაპირველად გ.ადამიამ სწავლა მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალში დაიწყო, საიდანაც 1956 წლის 9 მარტის მოვლენებთან -თბილისში ანტისამთავრობო სტუდენტურ გამოსვლებთან დაკავშირებით გარიცხეს.

შემდეგში ის, როგორც საქართველოში ანტისაბჭოთა გამოსვლების მონაწილე, სამუშაოდ და სასწავლებლად საქართველოს გაერიდა და ბელარუსში, ქ.მინსკში გაემგზავრა, სადაც დაუსწრებლად სწავლობდა მინსკის ავტოსატრანსპორტო ინსტიტუტში და იმავდროულად მუშაობდა მინსკის სატრაქტორო ქარხანაში.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა ქუთაისის ავტოქარხანაში, სოხუმჰესში, გაგრის საგზაო-სამშენებლო ტრესტში, სოხუმის ქიმიურ ქარხანასა და სოხუმის გემთშემკეთებელ ქარხანაში.1990-იან წლებში იყო ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე, ხოლო ე.წ. აფხაზეთის კონფლიქტის დაწყების შემდეგ–სახალხო ლაშქრის რაზმების ერთ–ერთი ორგანიზატორი.

შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებისთანავე, 1992 წელს, გენო ადამიამ დაიწყო მოხალისეთა შეგროვება ქალაქის მოსალოდნელი აგრესიისაგან დაცვის მიზნით.
აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ გენო ადამიამ განსაკუთრებული ძალისხმევა გამოიჩინა ეროვნული გვარდიის მე-3 ბრიგადის ფორმირებასა და მის რიგებში მებრძოლების მოზიდვაში. იყო ამავე ბრიგადის მეთაურის მოადგილე. 1992 წლის სექტემბრის ბოლოს დაინიშნა ეროვნული გვარდიის მე-3 ბრიგადის ბაზაზე ჩამოყალიბებული

მე-2 საარმიო კორპუსის 23-ე მექანიზებული ბრიგადის მეთაურად და სოხუმის გარნიზონის უფროსად. 1993 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. აფხაზეთის ომში მასთან ერთად მისი ორი შვილი – გოჩა და ელგუჯა მონაწილეობდნენ.
გენერალ-მაიორი გენო ადამია 1993 წლის 28 სექტემბერს, სოხუმის დაცემიდან მეორე დღეს, მდინარე კელასურის ხიდთან დაიღუპა, როდესაც ის თანამებრძოლებთან ერთად ამ მიმართულებით პოეზიციის გასამაგრებლად გაემართა.

1993 წელს , აფხაზეთის ომის დროს, ის დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის, ხოლო 1994 წელს, სიკვდილის შემდეგ, ვახტანგ გორგასლის I ორდენით.
2020 წლის 22 სექტემბერს გენო ადამიას საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა. ასევე, გმირის სახელობის გახდა მისი მშობლიური სენაკის პირველი საჯარო სკოლა.
1993 წლის ნოემბერში, მისმა თანამებრძოლებმა მისი ცხედარი თბილისში გადმოასვენეს. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე.
გენო ადამიას შვილი – ელგუჯა ადამია, ამბობს, რომ გენომ თავის გარშემო მოხალისე მეომრები შემოიკრიბა. სპონტანური რაზმი დღითი დღე იზრდებოდა: «შევარდნაძე რეკავდა: გენო, შენ უნდა ჩაუდგე სათავეშიო. იღიმებოდა, მე სამხედრო არა ვარო...

ერთ თვეში 23-ე ბრიგადა შეიქმნა, მასში 6 ბატალიონი შედიოდა,მათ შორის ერთი – სატანკო“.
ყველა ძია გენოს ეძახდა, მათ შორის მისი ტოლებიც კი. ძია გენოს ეძახდა ჟიული შარტავაც. „ძალიან დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და მის სიტყვაზე ათასები მიდიოდნენ ომში“ – იხსენებს აფხაზეთის მაშინდელი შს მინისტრი დავით გულუა.
23-ე ბრიგადის I ბატალიონის მეთაური დავით ღვინჯილია: თუკი სოხუმის მიმართულებით რამე ბრძოლა იყო, ყველას გენო ადამია ხელმძღვანელობდა. მისი თქმით, ეს თავდაცვითი ბრძოლები იყო,თავად თავს არავის დასხმიან.

დავით ღვინჯილია: „ძალიან პირდაპირი იყო. ჭარბად ჰქონდა პასუხისმგებლობის გრძნობა, რომ ეს მისი ქალაქია და უნდა დაიცვას. მერე აღმოჩნდა, რომ ძალიან მაგარი ორგანიზატორიც ყოფილა. 23-ე ბრიგადა, რომელიც გენომ შექმნა, პირველი დისციპლინირებული ბრიგადა იყო. მისთვის ავტორიტეტი არ არსებობდა, შევარდნაძესაც დაუპირისპირდა“. დაპირისპირება გამოიწვია სოჭის ხელშეკრულებამ, რომლის საფუძველზეც ქართულმა მხარემ ქალაქიდან მძიმე ტექნიკა გაიყვანა. „გენომ პირდაპირ თქვა, რომ ეს არის სოხუმის ჩაბარების გეგმა. სადაც ხმა მიუწვდებოდა, ყველგან ლაპარაკობდა ამას, მაგრამ არაფერი გამოვიდა, მაინც დაშალეს ბრიგადა და სოხუმი და აფხაზეთი შეიარაღების გარეშე დატოვეს“, - ამბობს დავით ღვინჯილია.

ელგუჯა ადამია, რომელიც მასინ სამხედრო ჰოსპიტლის ხელმძღვანელი იყო, იხსენებს, თუ როგორ გადაივსო იმ დღეებში ჰოსპიტალი დაჭრილებით, დაშავებულებს შორის მამა და ძმაც იყვნენ.

თამაზ ლიპარტელიანი წიგნში „ომი აფხაზეთში“ გენო ადამიას სიტყვებს იხსენებს: „აფხაზეთი გაყიდულია, მაგრამ სანამ სული მიდგას, ვიომებ!“

დავით გულუა: „დაახლოებით 12 ბრძოლა მოიგო, არც ერთი არ წაუგია. საბოლოოდ, განიარაღებული, იძულებული გახდა დამარცხებულიყო, მაგრამ, როგორც ჭეშმარიტი გენერალი, მობრუნდა და თავი შეაკლა“.

1992- 1993 წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აფხაზეთის ომის პერიოდში საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის მეთაურის მოადგილე პირად შემადგენლობასთან მუშაობის დარგში ზურაბ ჯგუბურია:

„1992 წლის სექტემბერში ოქუმში ჩამოყალიბდა მოხალისეთა პირველი ასეული, რომელიც შემდგომში თავდაცვის სამინისტროს ბატალიონ „სამურზაყანოდ“ (თავდაცვის სამინისტროს 245 -ე ბატალიონი) გარდაიქმნა, რომლის უცვლელი მეთაური ომის ბოლომდე ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი, პოლკოვნიკი თამაზ შონია იყო. მოხალისეთა ასეულს დასაწყისში ადგილობრივი პოლიციიდან და ყოფილი ეროვნული გვარდიის გალის ბატალიონიდან გადმოცემული სულ რამოდენიმე ავტომატი, ასევე ძველი, რუსული წარმოების რამოდენიმე კარაბინი და მოსახლეობის კუთვნილი სანადირო თოფები(!) გააჩნდა. როცა გენო ადამიას ამ გასაჭირის შესახებ მოვუყევი და მისი ძველი ოქუმელი თანაკლასელების თხოვნაც „მივაყოლე“, გენომ ჩვეულებისამებრ გულთან ახლოს მიიტანა მისთვის ახლობელი ადამიანების გასაჭირი და სულ რამოდენიმე დღეში, ოქტომბერში, მაშინდელ სახელმწიფო მინისტრთან გ.ხაინდრავასთან ერთად, ჩემი თანხლებით, ვერტმფრენით 50(ორმოცდაათი) ავტომატი და ტყვია-წამალი ოქუმში ჩაიტანა (არადა საკუთრივ მთავარ -სოხუმის ფრონტზე, იარაღის დიდი დეფიციტი იყო)! ასობით ადამიანი მყისიერად მოგროვდა ოქუმის საფეხბურთი სტადიონზე-საოცარი

იყო გენოს და მისი ყოფილი თანაკლასელების შეხვედრა: კოტე წირღვავა და გივი ჯგუბურია სტადიონის სიახლოვეს ცხოვრობდნენ და ისინი გენოს პირდაპირ ვერტმფრენთან დახვდნენ-ლამის პენსიონერი მეგობრები და აფხაზეთის თავდაცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი - უკვე ქართული ჯარის გენერალი! ვაჟა ჯგუბურია აქოშინებული მოვარდა (ფიზიკურად და გონებრივად ვეებერთელა კაცი იყო!) მთავარ „ღონისძიებაზე“- შეხვედრა შემდეგ ოქუმის კულტურის სახლში მრავალასეულიან მიტინგად გადაიქცა, სადაც გენო ადამიამ საოცრად თბილი, მარტივად გასაგები და ყველასთვის მისაღები სიტყვებით ახსნა აფხაზეთის ომის არსი. შეხვედრა დაგეგმილზე გაცილებით დიდხანს გაგრძელდა და უკვე გვიან ღამით ვერტმფრენი სოხუმში გაფრინდა. გენოს ვიზიტის და მისი საოცარი მიმართვის შემდეგ ახალგაზრდობა უკვე მეზობელი სოფლებიდანაც მოდიოდა- აჩიგვარიდან მთელი ოცეული ჩამოიყვანა უაღრესად პატრიოტმა მოქალაქემ - მაშინ პოლიციის მაიორმა გენო ნარმანიამ (შემდგომში პოლიციის პოლკოვნიკი, აწ გარდაცვლილი), ეროვნული გვარდიის გალის ბატალიონის (ეგრეთ წოდებული ზვიადისტები) მეთაურის მოადგილე მაიორი დევიზ ლაცუზბაია (1998 წელს გმირულად დაიღუპა სათანჯოს მთაზე აფხაზ სეპარატისტებთან შეტაკებაში - დაჭრილმა ტყვედ ჩაბარებას სიკვდილი არჩია - საკუთარი იარაღის ბოლო ტყვიით თავი მოიკლა!)თავისი ბატალიონის რამოდენიმე ოფიცერთან და მებრძოლთან ერთად საკუთარი საბძოლო იარაღით მივიდნენ, მუხურიდან მთელი ავტობუსი ჩამოვიდა, ჩხორთოლიდან იქაურმა სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ნუგზარ(ვადიმ) გამისონიამ საკუთარი ხალხი გამოიყვანა, წარჩედან,... და სოფლის საბჭოს შენობაში სახელდახელოდ გახსნილ შტაბში, უკვე ბატალიონის რიგებში, ხალხი მასიურად ეწერებოდა! ასეთი პატრიოტული აღტკინება ცხოვრებაში ნაკლებად შემხვედრია - ეს ყველაფერი ლამის ნახევარ დღეში მოხდა და ეს ყველაფერი გენო ადამიას პირადმა ავტორიტეტმა განაპირობა - ასე უშუალოდ და

გასაგებად გამოცდილი ორატორებიც კი ვერ ელაპარაკებიან და არწმუნებენ მოსახლეობას. აღსანიშნავია, რომ გენოს ოქუმელი თანაკლასელების შვილები: ისტორიკოსი, პედაგოგი და გალის რაიონის ახალგაზრდობის არჩეული ლიდერი (იყო ასეთი პრაქტიკა სსრკ არსებობის ბოლო წლებში) სოსო წირღვავა ბატალიონ „სამურზაყანოს“ შტაბის უფროსი იყო ომის ბოლომდე, ხოლო გივი ჯგუბურიას ვაჟიშვილი - ჯონი, ბატალიონის რიგებში ომის დასასრულამდე იბრძოდა. უკვე ჭარმაგი და დამსახურებული სამეურნეო მუშაკი ვაჟა ჯგუბურია საკუთარი, კომუნისტურ ეპოქაში საგულდაგულოდ გადანახული მამისეული „ნაგანით” პიკეტში იდგა - სამორიგეოდ გამოდიოდა (ბატალიონი იმ არეულ და წინააღმდეგობრივ პერიოდში საზოგადორბრივი წესრიგის დაცვის მთავარი გარანტი იყო).

უფრო დიდი ავტორიტეტი და ჭეშმარიტად „სახალხო გენერალი“ იმ პერიოდის აფხაზეთს ნამდვილად არ ჰყავდა!

ზოგადად გმირად აღიარებისთვის უმეტესად რაციონალური, გონივრული მოქმედება და წარმატებაა აუცილებელი, თუმცა ზოგჯერ მარცხით დასრულებულ თავგანწირულ მოქმედებასაც ერგება ხოლმე ისტორიის დაფნის გვირგვინი -ეს არის ჭეშმარიტად „სახალხო გენერლის“, საქართველოს ეროვნული გმირის გენო ადამიას ცხოვრების მოკლე რეზიუმე!

„საზოგადოება არ არსებობს გმირების გარეშე, გმირები ასახავენ იმ იდეალებს, რომელიც ყველა ქვეყანას და ყველა ეპოქას აქვს“

ომი, კაცობრიობის ყველაზე საშინელი „გამოგონება“, გმირობის გამოსავლენად ყველაზე შესაფერისი ასპარეზია. 1992-1993 წლების აფხაზეთის ომი, ანუ რეალურად რუსეთ-საქართველოს ომი აფხაზეთის ტერიტორიაზე, თავისი ხასიათიდან და შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედების „ფართო არჩევანს“ აძლევდა ადგილობრივ მოსახლეობას: სეპარატისტობიდან, საშინელი ავკაცობიდან, ქვეყნის ისტორიულ-ტრადიციული მთლიანობის დაცვამდე,უბადლო გმირობამდე.

უამრავმა, ათასობით ადამიანმა, ჩვეულებრივ ცხოვრებაში მოკრძალებულმა, მეტად მშვიდობიანი სპეციალობის მოქალაქემ იმ სამამულო ომში საკუთარი შესაძლებლობების ახლებურად და სრულიად სხვა შინაარსის თვისებების წარმოჩენა მოახერხა. მათი დიდი ნაწილი სამუდამოდ დარჩა ისტორიის გმირთა გალერეის მიღმა, მხოლოდ მცირე ნაწილს „გაუმართლა“ და მათ შესახებ მოსახლეობის ფართო სეგმენტმა თავიდანვე გაიგო.

ზუსტად ამ პატიოსანი, მორიდებული და პატრიოტი ადამიანების - ჩვენი თანამედროვე და თანამოქალაქე, ჭეშმარიტად გმირი პიროვნებების მოკრძალებულად წარმოჩენა და მათი სასახელო ბიოგრაფიების გაცნობა გარშემომყოფთათვის იქნება ჩვენი აფხაზეთში დაბრუნების და აფხაზეთის საქართველოში მობრუნების ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება.

ასეთი გმირებით გავსებულია ჩვენი უახლოესი სასიცოცხლო სივრცე. ამათგან ერთ -ერთი გამორჩეულის მცირე დახასიათებაზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება - გთავაზობთ საქართველოს ეროვნული გმირის -გენერალ გენო ადამიას უმცროსი თანამებრძოლის, მაიორ, „ღირსების მედლის“ კავალერის, სოხუმის

თავდაცვის ღირსეული მონაწილის, 23-ე ბრიგადის საბრძოლო ნაწილის უფროსის, სპეცდანიშნულების რაზმის „სკორპიონის“ მეთაურის ლევან ქეცბაიას მოკლე ბიოგრაფიას.

ლევან ქეცბაია

ლევან ნოდარის ძე ქეცბაია დაიბადა 1964 წელს ქ.სოხუმში, მთელ აფხაზეთში პატივცემულ და საპატიო ოჯახში: მამა- ნოდარ ქეცბაია, აფხაზეთის დამსახურებული ეკონომისტი, გამოჩენილი სამეურნეო მუშაკი და საზოგადო მოღვაწე. დედა- ლამარა ქაჯაია, აფხაზეთის დამსახურებული ექიმი, მეტად სათნო და სანიმუშო ქალბატონი.

1970 წელს ლევან ქეცბაიამ სწავლა დაიწყო ქ.სოხუმის მე-5 სკოლაში, ხოლო საშუალო სკოლის სრული კურსი წარჩინებით დაამთავრა ქ.სოხუმის მე-11 სკოლაში, 1981 წელს.

უფროსი ძმის - ზურაბის, იმ პერიოდში ჯერ კიდევ ქ.რიგის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტის გავლენით, ლევან ქეცბაია სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ქ.რიგა) საფინანსო - სავაჭრო ფაკულტეტზე. აღნიშნული უნივერსიტეტის სრული კურსი, ეკონომისტის სპეციალობით, დაამთავრა 1985 წელს და სამუშაოდ მშობლიურ ქალაქში, სოხუმში დაბრუნდა. უფროსმა ძმამ კი პროფესიული საქმიანობა იქვე, უმაღლესი განათლების მიღების ადგილზე, ქ.რიგაში გააგრძელა და დღეს მედიცინის დოქტორი, ქირურგი ზურაბ ქეცბაია ლატვიის რესპუბლიკის მოქალაქე და მთელ სახელმწიფოში მეტად დამსახურებული და დაფასებული სპეციალისტია.

1985 წელს ლევან ქეცბაიამ მუშაობა დაიწყო ქ.სოხუმის „სამრეწველო ვაჭრობის გაერთიანებაში“ საქონელმცოდნედ, საიდანაც გამორჩეული განათლების ახალგაზრდა სპეციალისტი

1987 წელს სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკის დირექტორის მოადგილედ, ხოლო 1989 წლიდან კი რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოს, სოხუმის ხორცკომბინატის დირექტორის მოადგილედ გადაიყვანეს.

აფხაზეთის ომის დაწყების პირველ დღეებიდან ლევან ქეცბაია მისი უფროსი მეგობრის და ყოფილი კოლეგის (სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკიდან), აფხაზეთის ომის ლეგენდარული „სახალხო გენერლის“, შემდგომში საქართველოს ეროვნული გმირის - გენო ადამიას მიერ აფხაზეთში შექმნილი გვარდიის მე-3 ბრიგადის, შემდგომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის შემადგენლობაში ოფიცრად (როგორც ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის კურსგავლილმა თადარიგის ოფიცერმა), შემდეგ კი საბრძოლო ნაწილის უფროსად დაიწყო საბრძოლო კარიერა.

აფხაზეთის ომს ქართული სამხედრო რეალობიდან გამომდინარე გარკვეული საომარი ინტრიგა ახასიათებდა: არმია ფაქტიურად ჩასახვის პროცესში იყო და კვალიფიციური კადრების, გამოკლებით საარტილერიო საქმის მცოდნე ოფიცრებისა, დიდ დეფიციტს განიცდიდა - არმია ფაქტიურად მოხალისეთა კადრებით იყო დაკომპლექტებული, მაგრამ იყო ერთი „მაგრამ“ : საბრძოლო დანაყოფებში სუფევდა უმაღლესი პატრიოტული სული და „ხალხოსნობის“ ელემენტი, ანუ მეომრები არა მარტო პიროვნულ ღირსებას, არამედ ფაქტიურად საომარი პოზიციებიდან სულაც რამოდენიმე კილომეტრით დაშორებულ მშობლიურ ქალაქს, საკუთარ ოჯახებს - მოხუცებს, დედ-მამას, მეუღლეს, ბავშვებს, ნათესავებს და ახლობლებს იცავდნენ!

მწირი მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის, არასრულფასოვანი სამხედრო - საწვრთნელი და ტაქტიკური მომზადების პირობებში, სეპარატისტული და დაქირავებულთა

ძალების წინააღმდეგ, რუსული რეგულარული სამხედრო (ავიაცია, საზღვაო, საარტილერიო-შორსმსროლელი საშუალებების) ჩარევის პირობებში სოხუმის დამცველ ქართულ სამხედრო ქვედანაყოფებს უმეტესად საკუთარი გამჭრიახობის, პრაქტიკისა და რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით უწევდათ მძიმე და სისხლისმღვრელი საბრძოლო სიტუაციების მართვა და კონტროლი. მითოლოგიზირებული საბჭოთა სამხედრო მოწოდება: „უკანდახევა არ შეიძლება, ჩვენს უკან მოსკოვია!“ ადგილზე, 1992-1993 წლების სოხუმში, მკაცრ რეალობას წარმოადგენდა. ზუსტად აქ გამოჩნდა პრაქტიკულად სამოქალაქო ცხოვრებიდან პირდაპირ საომარ ოპერაციებში ჩართული ყველა რგოლის და თანამდებობების ქართველი სამხედროების თავგანწირვისა და გენეტიკურად თანდაყოლილი საბრძოლო უნარ -ჩვევების რეალიზირების პრაქტიკა. ამის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენდა 23-ე ბრიგადის მეთაური, სოხუმის სამხედრო კომენდანტი გენო ადამია, რომელსაც არა მარტო თავდაცვითი ბრძოლების წარმოება, არამედ ქალაქის ნორმალურად, უსაფრთხოდ ფუნქციონირების მთელი სიმძიმე დააწვა მხრებზე!

სოხუმის დაცვის მთელ პერიოდში - 1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლის 27 სექტემბრამდე მტერს არც ერთხელ არ მიეცა საშუალება დაეთესა პანიკა, მის დივერსიულ ჯგუფებს გაენადგურებინა სამხედრო ინფრასტრუქტურის და სამოქალაქო, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტები! და ეს ყველაფერი ხდებოდა ქალაქში, რომლის მოსახლეობა ომის ყველაზე მძიმე დღეებშიც ინტერნაციონალური და სხვადასხვა ხასიათის ეთნიკური ტიპის დარბევებისაგან დაცული რჩებოდა!

სწორედ გენო ადამიას ბუნებრივი, თანდაყოლილი მხედრული ნიჭის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინება იყო ანტიდივერსიული, კონტრაგენტურული და სამოქალაქო სიმშვიდის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული, სპეციალური დანიშნულების რაზმის შექმნა

ბრიგადის ერთ-ერთი გამორჩეული და ავტორიტეტული ახალგაზრდა ოფიცრის ლევან ქეცბაიას მეთაურობით. დიდი მონდომებით და მებრძოლთა განსაკუთრებული შერჩევით - ადგილობრივი, ახალგაზრდა და მოტივირებული სპორტსმენებისგან შექმნილი სპეცდანიშნულების რაზმი „სკორპიონი“ მართლაც გამოირჩეოდა შინაგანი დისციპლინით, უმაღლესი დონის სამხედრო და სპეციალური მომზადებით, რომლის პრაქტიკულ განხორციელებას და მოქმედებას ომის ბოლო დღეებამდე ხელმძღვანელობდა ბრიგადის საბრძოლო ნაწილის უფროსი, მაიორი ლევან ქეცბაია.
ეს მისი საბრძოლო და სპეციალური ოპერაციების ჩატარების თანდაყოლილი უნარის, ინსტიქტის და ჩინებული ადამიანური თვისებების ერთიანობა იყო, რომელიც შეიძლება ვერც ერთ სამხედრო სასწავლებელში თუ სამხედრო აკადემიაში უმეტესობამ ვერც აითვისოს - ეს პატრიოტიზმში განზავებული პირადი თავდადებისა და შინაგანი ინტელექტის შედეგი იყო!

ომის მთელ პერიოდში სპეცდანიშნულების რაზმმა თითქმის უჩუმრად, უხმაუროდ და ყოველგვარი მოჩვენებითი „გმირობების“ (არადა ქართული არმია ხშირად სცოდავდა ამ სენით!) გარეშე ღირსეულად შეასრულა არა მარტო ბრიგადის მეთაურის, გენერალ გენო ადამიას განსაკუთრებული, სპეციფიკური ხასიათის დავალებები, არამედ ის თავდაცვის მაშინდელი მინისტრის, თვითონაც საბჭოთა არმიის სპეცდანიშნულების ჯარების ყოფილი ოფიცრის, უკვე დამოუკიდებელი საქართველოს უმაღლესი სამხედრო თანამდებობის პირის - გიორგი(გია) ყარყარაშვილის უდიდესი ნდობითაც სარგებლობდა. სხვათაშორის, ბედის და პოლიტიკური გაურკვევლობების მიზეზებით, ტერაქტის შედეგად ინვალიდის ეტლს მიჯაჭვული გია ყარყარაშვილი მის პირად მეგობარს და თანამებრძოლს, ლევან ქეცბაიას, უყურადღებოდ არც ერთი დღე არ მიუტოვებია-თვითონაც დევნილობაში მყოფი ყოველთვის ახეხებდა და ახერხებს მის გამხნევებას და ადამიანურ

ყურადღებას!

ომის დამთავრებისთანავე უკვე თადარიგში გასული, სამშობლოსაგან მხოლოდ „ღირსების მედლით“ დაფასებული ახალგაზრდა კაცი ახლადშერთულ მეუღლესთან-რუსუდან ნაჭყებიასთან ერთად უფროს ძმასთან ქ.რიგაში გაემგზავრა, საიდანაც მისი სოხუმელი მეგობრების მოწვევით მოსკოვში გაემგზავრა და მისთვის ჩვეულ სამოქალაქო საქმიანობას - ბიზნესს დაუბრუნდა. ნიჭიერი და მიზანდასახული ადამიანი ყოველთვის აღწევს გარკვეულ პოზიტიურ შედეგებს - ლევან ქეცბაიამ ბიზნესშიც საკმაოდ მაღალ შედეგებს მიაღწია და ბოლო წლებში სამშობლოში დაბრუნებული სერიოზულად შეუდგა საკუთარი ინტელექტუალური თუ ფინანსური რესურსების რეალიზებას. მისი პირადი ინიციატივით ზუგდიდში დაარსებულ სამშენებლო იდუსტრიის ერთ-ერთ თანამედროვე და მსხვილ კომპანიაში დღეს უკვე ათობით ადგილობრივი სპეციალისტია დასაქმებული.

ადამიანის შეფასების ერთ -ერთ მთავარ კრიტერიუმად მის გაკეთებულ პროფესიულ საქმეებთან ერთად ყოველთვის და ყველგან ოჯახის სიმყარე, ღირსეული შვილების აღზრდა - განათლების თემები წარმოჩინდება.

ლევან ქეცბაიას მთავარი სიმდიდრე მისი ოჯახია : მეუღლე - რუსუდან ნაჭყებია, სოხუმში ცნობილი ადამიანის - სოხუმის სამგზავრო -სატრანსპორტო პორტის უფროსის, შორეული ნაოსნობის კაპიტნის სერგო ნაჭყებიას ქალიშვილი.

ვაჟიშვილი - გენო ქეცბაია, 1994 წელს დაბადებული, რომელიც ლევან ქეცბაიას მხრიდან გენო ადამიას მიმართ საგანგებო პატივისცემის ღირსად მის სახელს ატარებს. 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონი ძიუდოში ახალგაზრდებს შორის(რფ სახელით), რომელსაც მიღებული აქვს ფინანსური მენეჯერის სერიოზული

განათლება - დღეს დამოუკიდებლად უძღვება საკუთარ ბიზნესს.

ქალიშვილი -ანა ქეცბაია, 1996 წლის დაბადებული, ფინანსისტი, ერთ-ერთი მსხვილი ბანკის თანამშრომელია.

ნორმალურ საზოგადოებებში ომის დამთავრებიდან ათწლეულების განმავლობაში ეძებდნენ და პოულობდნენ გმირებსაც და არაკაცებსაც.

აფხაზეთის ომის უამრავი (რიცხვის დაახლოებით მითითებაც კი შეუძლებელია) ადამიანი, თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დამსახურებულ აღიარებას ვერ ეღირსა. მათი საბრძოლო ასპარეზი მხოლოდ ფრონტის ავანსცენა არ ყოფილა: სწავლის და ომამდელი მშვიდობიანი ცხოვრების წლები, ომი, დევნილობა და ისევ ცხოვრების ფერხულში ჩაბმა...

მათი დიდი ნაწილი სამუდამოდ დარჩა ისტორიის გმირთა გალერეის მიღმა, მხოლოდ მცირე ნაწილს გაუმართლა და მათ შესახებ მოგვიანებით გაიგეს - მაგრამ ამის სისტემატიზებაა ზუსტად სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის მთავარი მიზანი - საქართველოს დამოუკიდებლობის 30-წლიან პერიოდში აფხაზეთის ომი და მისი შედეგების გაანალიზება, აფხაზეთის თითოელი მკვიდრის ცხოვრების და მოღვაწეობის ისტორია უკვე გმირობის დოკუმენტია!

ღირსების მედალი

ღირსების მედალი — საქართველოს სახელმწიფო ჯილდო, რომლითაც ჯილდოვდებიან საქართველოს მოქალაქენი საქართველოს აღორძინების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ღირსეული სამსახურისათვის. დამტკიცებულია 1992 წლის 24 დეკემბრის პარლამენტის დადგენილებით.

შემდგენელი - მთ.რედაქტორი: [illegible]

თბილისი, 2021 წ.